ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4256209

ნომერი: AR1641816

თარიღი : 03.11.2018

გაცემის თარიღი : 16.11.2018

გაცნობის თარიღი : 21.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N5ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ა.პოლიტკოვსკაია , N 5ბ , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 03 ნოემბერს განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ #01.14.05.006.058 (ფართობი:696 კვ.მ) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) მიზნით დამტკიცდა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2017 წლის 3 მაისის №3231930 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.05.006.105; ფართობი 339 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016425909; რეგისტრაციის თარიღი: 08/07/2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882016554226, რეგისტრაციის თარიღი 25/08/2016 წ.).

ამის შემდგომ, ისევ მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილება შესაბამისად განმცხადებელმა კვლავ მოითხოვა ცვლილების ასახვას 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

ამჟამად წარმოდგენილი განცხადებით ცვლილება განიცადა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდმა ფართობისა და კონფიგურაციის უცვლელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის “ თანახმად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი ს/კ 01.14.05.006.124 ფართობი 370 კვ.მ , (საკადასტრო კოდის რეგისტრაციის ნომერი #892018518520; რეგისტრაციის თარიღი 23/08/2018წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018917334, რეგისტრაციის თარიღი მომზადების თარიღი: 29/10/2018წ.),
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.